

მინის დეკორატიული დამუშავების სპეციალისტი 080357

პროფესიული სტანდარტი

I. სფეროს აღწერა

მინის დეკორატიული დამუშავების სპეციალობა მოიცავს მინის დიზაინის საბაზისო ტექნოლოგიური პროცესებისა და კანონზომიერებების ერთობლიობას და წარმოადგენს ზოგადად დიზაინის სფეროს ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს შემადგენელ ნაწილს.

II. დასაქმების სფერო

კურსდამთავრებული, მიღებული კვალიფიკაციის მიხედვით, შეიძლება დასაქმდეს შესაბამის სახელობო საწარმოებში, სამხატვრო სალონებსა და კერძო სახელოსნოებში, ასევე თვითდასაქმების გზით.

III. საგანმანათლებლო პროგრამა და კვალიფიკაცია

მინის დეკორატიული დამუშავების სპეციალისტის პროფესიული განათლება არის ხუთსაფეხურიანი და მოიცავს მინიმუმ 165 კრედიტს. თითოეულ საფეხურზე შემუშავებულია შესაბამისი პროფესიული პროგრამა, რომლის დასრულების შემდეგ სტუდენტს ენიჭება შესაბამისი საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია, რომელიც დასტურდება პროფესიული დიპლომით. კრედიტების 50%-ს შეადგენს სასწავლო-საწარმოო პრაქტიკა.

მინის დეკორატიული დამუშავების სპეციალისტის პირველი საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს მინიმუმ 15 კრედიტს. აქედან კრედიტების მინიმუმ 40% ეთმობა პრაქტიკას.

მინის დეკორატიული დამუშავების სპეციალისტის მეორე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს მინიმუმ 15 კრედიტს. აქედან კრედიტების მინიმუმ 40% ეთმობა პრაქტიკას.

მინის დეკორატიული დამუშავების სპეციალისტის მესამე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს მინიმუმ 15 კრედიტს. აქედან კრედიტების მინიმუმ 40% ეთმობა პრაქტიკას.

მინის დეკორატიული დამუშავების სპეციალისტის მეოთხე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს მინიმუმ 60 კრედიტს. აქედან კრედიტების მინიმუმ 40% ეთმობა პრაქტიკას.

მინის დეკორატიული დამუშავების სპეციალისტის მეხუთე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს მინიმუმ 60 კრედიტს. აქედან კრედიტების მინიმუმ 40% ეთმობა პრაქტიკას.

IV. დამატებითი მოთხოვნები

პროფესიის მასწავლებელს უნდა ჰქონდეს არანაკლებ სამწლიანი პრაქტიკული გამოცდილება.

V. მინის დეკორატიული დამუშავების სპეციალისტის პროფესიული კვალიფიკაციის აღმწერი

მინის დეკორატიული დამუშავების სპეციალისტის პირველი საფეხურის კვალიფიკაციის აღმწერი

ცოდნა და გაცნობიერება	აქვს სფეროს საფუძვლების ზოგადი ცოდნა და აცნობიერებს მარტივი ამოცანების შესასრულებლად აუცილებელ ნაბიჯებს	იცის: მინის, როგორც მასალის ძირითადი მახასიათებლები, მინის დაჭრა, მინის ღუმელთან ტექნიკური ხერხების სრულყოფილი გამოყენება. იცის სამუშაო გარემოს მოწყობის ძირითადი პარამეტრები.
ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი	შეუძლია სტრუქტურირებულ გარემოში უშუალო ხელმძღვანელობის ქვეშ შეასრულოს მარტივი და ერთგვაროვანი დავალებები ძირითადი მასალებისა და ინსტრუმენტების გამოყენებით.	შეუძლია სპეციალობისათვის შესაბამის გარემოში, უშუალო ხელმძღვანელობის ქვეშ, მინის პლასტების დაჭრა, მინაზე ფერადი ბისერის გადატანა, ძირითადი მასალებისა და ინსტრუმენტების გამოყენებით.
დასკვნის უნარი	შეუძლია ხელმძღვანელის მითითებების გათვალისწინებით სამუშაოს პროცესში გამოვლენილი მარტივი პრობლემების ამოცნობა.	შეუძლია ხელმძღვანელის მითითებების გათვალისწინებით, მინაზე მუშაობის პროცესში წარმოქმნილი, მასალასა თუ სამუშაო ინსტრუმენტებთან დაკავშირებული მარტივი ტექნიკური პრობლემების ამოცნობა და მათი გადაჭრა.

კომუნიკაციის უნარი	შეუძლია პროფესიასთან დაკავშირებულ მარტივ საკითხებზე ზეპირი და წერილობითი კომუნიკაცია. ფლობს საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებს, ასევე უცხოურ ენას საბაზო დონეზე	შეუძლია საიუველირო მინის პლასტების შემსრულებლის სპეციალობისათვის აუცილებელი ზეპირი და წერილობითი კომუნიკაცია, ფლობს ელემენტარულ საკომუნიკაციო ტექნოლოგიებს, შეუძლია პროფესიასთან დაკავშირებული მარტივი კომუნიკაცია უცხო ენაზე.
სწავლის უნარი	შეუძლია სხვისი ხელმძღვანელობით სწავლა.	შეუძლია პედაგოგის უშუალო ხელმძღვანელობითა და დარგის სპეციალისტების გამოცდილების საფუძველზე, ახალი ცოდნის მიღება, ასევე, მითითებული დარგობრივი ლიტერატურის დამუშავება და სწავლის შემდგომი ეტაპის დაგეგმვა.
ღირებულებები	იცნობს პროფესიული საქმიანობისათვის დამახასიათებელ ღირებულებებს.	იცნობს და იცავს შრომის უსაფრთხოების ნორმებს, გაცნობიერებული აქვს კოლექტიური შრომის ეთიკის ნორმები.

მინის დეკორატიული დამუშავების სპეციალისტის მეორე საფეხურის კვალიფიკაციის აღმწერი

ცოდნა და გაცნობიერება	აქვს სფეროს ფაქტობრივ გარემოებებზე დამყარებული ზოგადი ცოდნა და აცნობიერებს ძირითადი ამოცანების შესასრულებლად აუცილებელ ნაბიჯებს	აქვს მინის ჭრის და მინის წკირების ძირითადი ტექნოლოგიური პროცესების ზოგადი ცოდნა, იცის სხვადასხვა ფორმის მინის პლასტების ჭრის პროცესი და მისი შემადგენელი ეტაპები. აცნობიერებს მინის პალიტრის გაწყობის მნიშვნელობას საბოლოო პროდუქციის ხარისხიანი შესრულებისათვის.
ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი	შეუძლია სტაბილურ გარემოში გარკვეული დამოუკიდებლობით შეასრულოს წინასწარ განსაზღვრული დავალებები ძირითადი მეთოდების, ინსტრუმენტებისა და მასალების გამოყენებით.	შეუძლია: სამუშაოსათვის შესაფერისი სტაბილური გარემოს მოწყობა დამოუკიდებლად, ხელმძღვანელის მიერ მითითებული ნიმუშის მიხედვით, მინის პლასტების გამოჭრა, მინის წკირების დადნობა და მოცემული ნიმუშის შესაბამისი მინის ნაწარმის შესრულება.
დასკვნის უნარი	შეუძლია პრობლემის გადასაჭრელად გამოიყენოს მიწოდებული ინფორმაცია და ავლენს შესაბამისი სამუშაოს შესასრულებლად აუცილებელი დასკვნის გარკვეული დამოუკიდებლობით გაკეთების უნარს.	შეუძლია: ხელმძღვანელის მიერ მიწოდებულ ან დარგობრივ ლიტერატურაში არსებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით მინის ნიმუშის დამზადების პროცესში დამოუკიდებლად მიიღოს მარტივი ტექნიკური გადაწყვეტილებები და ხელმძღვანელთან შეთანხმებით გააკეთოს შესაბამისი დასკვნები ტექნიკა-ტექნოლოგიური პროცესის მსვლელობის შესახებ.

კომუნიკაციის უნარი	შეუძლია პროფესიასთან დაკავშირებულ მარტივ საკითხებზე დეტალური ზეპირი და წერილობითი კომუნიკაცია. იყენებს საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებს პროფესიული თვალსაზრისით. შეუძლია ელემენტარული დონის კომუნიკაცია უცხოურ ენაზე პროფესიასთან დაკავშირებულ საკითხებზე.	შეუძლია: პროფესიასთან დაკავშირებულ საკითხებზე ზეპირი და წერილობითი კომუნიკაცია მშობლიურ და უცხო ენებზე, ფლობს დეკორატიული მინის ტექნოლოგიის სპეციფიკურ ტერმინოლოგიას. შეუძლია საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენება ახალი ინფორმაციის მოპოვებისა და პროფესიული ურთიერთობის დამყარების მიზნით.
სწავლის უნარი	შეუძლია სხვისი ხელმძღვანელობით სწავლა დამოუკიდებლობის გარკვეული ხარისხით.	შეუძლია ხელმძღვანელისა და დარგის პროფესიონალების რჩევებზე და გამოცდილებაზე დაყრდნობით, გაიდრმას პროფესიული ცოდნა და შეიძინოს ახალი გამოცდილება.
ღირებულებები	გათავისებული აქვს პროფესიული საქმიანობისთვის დამახასიათებელი ღირებულებები და მოქმედებს მათ შესაბამისად	აცნობიერებს შრომითი საქმიანობის წარმოებისას უსაფრთხოების წესების ზედმიწევნით დაცვის აუცილებლობას. გაცნობიერებული აქვს როგორც კოლექტიური, ასევე ინდივიდუალური შრომის ეთიკის ნორმები.

მინის დეკორატიული დამუშავების სპეციალისტის მესამე საფეხურის კვალიფიკაციის აღმწერი

ცოდნა და გაცნობიერება	აქვს სფეროსათვის დამახასიათებელი ძირითადი ფაქტების, პრინციპების, პროცესებისა და ზოგადი კონცეფციების ცოდნა, აცნობიერებს გართულებული ამოცანების შესასრულებლად აუცილებელ ნაბიჯებს	იცის ალმასური ჭრის სფეროსთვის დამახასიათებელი ძირითადი ტექნოლოგიური პროცესებისა და ტექნიკური ხერხების ზოგადი კონცეფციები. აცნობიერებს მინის ალმასური ჭრის ტექნოლოგიური პროცესების ეტაპობრივი, გართულებული ამოცანების შესასრულებლად აუცილებელ ნაბიჯებს. გაცნობიერებული აქვს შრომის უსაფრთხოების უზრუნველყოფის აუცილებლობა.
ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი	შეუძლია გამოიყენოს დარგის სპეციფიკისათვის დამახასიათებელი უნარების ფართო სპექტრი, შეაფასოს დავალებების შესასრულებლად სხვადასხვა მიდგომები შეარჩიოს და მიუსადაგოს სათანადო მეთოდები, ინსტრუმენტები და მასალები.	შეუძლია გამოიყენოს მინის ალმასური ჭრის სპეციფიკისთვის დამახასიათებელი უნარების ფართო სპექტრი. კერძოდ: იცის ალმასური ჭრის დაზგასთან მუშაობის ელემენტარული წესები. მინაზე მარტივი ნახაზის გადატანა და ამ ნახაზის დაჭრა ალმასის ჩარხზე.
დასკვნის უნარი	შეუძლია განსხვავებულ სიტუაციებში წამოჭრილი პრობლემების გადასაჭრელად ინფორმაციის ცნობილი წყაროებით	შეუძლია მინის ალმასური ჭრის დროს წარმოქმნილი ტექნოლოგიური პრობლემების აღმოფხვრა, მასალის სტრუქტურული სხვაობის სწორად შერჩევის გზით; შეუძლია

	სარგებლობა, მათი შეფასება და ანალიზი.	აგრეთვე მათ გადასაჭრელად ლიტერატურაში მითითებული მეთოდების შეფასება-ანალიზი და პრაქტიკული გამოცდილების საფუძველზე სწორი მეთოდის არჩევა.
კომუნიკაციის უნარი	შეუძლია ზეპირი და წერილობითი კომუნიკაცია პროფესიასთან დაკავშირებულ საკითხებზე განსხვავებულ სიტუაციებში. ეფექტიანად იყენებს პროფესიულ საქმიანობასთან დაკავშირებულ საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებს; შეუძლია უცხო ენის პრაქტიკული გამოყენება.	შეუძლია ზეპირი და წერილობითი კომუნიკაციის დამყარება დეკორატიული მინის ტექნოლოგიასთან დაკავშირებულ საკითხებზე როგორც დარგის პროფესიონალებთან, ასევე არაპროფესიონალებთან. შეუძლია საკომუნიკაციო და საინფორმაციო ტექნოლოგიების მიზანდასახული გამოყენება პროფესიულ საქმიანობაში. სრულყოფილად ფლობს დეკორატიული მინის ტექნოლოგიების სპეციფიკურ ტერმინოლოგიას უცხო ენაზე და პრაქტიკულად იყენებს მას პროფესიულ სფეროში კომუნიკაციის განხორციელებისას.
სწავლის უნარი	შეუძლია წინასწარ განსაზღვრული ამოცანების ფარგლებში საკუთარ სწავლაზე პასუხისმგებლობის აღება	შეუძლია მიღებულ ცოდნასა და პრაქტიკულ გამოცდილებაზე დაყრდნობით, საკუთარი პასუხისმგებლობის ქვეშ, დაგეგმოს და განახორციელოს სწავლა კონკრეტული, მკაფიოდ ჩამოყალიბებული ამოცანის შესასრულებლად. აცნობიერებს სწავლის შემდგომი საფეხურის აქტუალობასა და პერსპექტივას.
ღირებულებები	განსხვავებულ სიტუაციებში მოქმედებს პროფესიული საქმიანობისათვის დამახასიათებელი ღირებულებების შესაბამისად	გაცნობიერებული აქვს დეკორატიული მინის წარმოების პროცესში უსაფრთხოების წესების დაცვის მნიშვნელობა, განუხრელად იცავს მათ. პრობლემატურ სიტუაციებში კოლეგებთან თანამშრომლობს ეთიკის ნორმების გათვალისწინებით.

მინის დეკორატიული დამუშავების სპეციალისტის მეოთხე საფეხურის კვალიფიკაციის აღმწერი

ცოდნა და გაცნობიერება	აქვს სფეროს ფაქტობრივ გარემოებებსა და თეორიულ საფუძვლებზე დამყარებული ცოდნა, აცნობიერებს პრობლემების გადაჭრის ზოგად შესაძლებლობებს.	აქვს მინის ფერადი პლასტიკის მომზადების სფეროსთან დაკავშირებული თეორიული და პრაქტიკული ცოდნა. გაცნობიერებული აქვს მინის პლასტიკის ტექნოლოგიის ორი ძირითადი ეტაპი: 1. მინის პლასტიკის დაჭრა, ამ პლასტიკზე მარტივი კომპოზიციის გადატანა, ფერადოვანი მინებით დაფარვა. 2. მომზადებული პლასტიკის გამოწვა გარკვეულ ტემპერატურაზე. იცის ამ ორ ძირითად ეტაპთან დაკავშირებული განსხვავებული პრობლემების გამიჯვნა და აცნობიერებს მათი გადაჭრის შესაძლო მეთოდებს.
ცოდნის პრაქტიკაში	შეუძლია სამუშაოს დაგეგმვისა და შესრულების	შეუძლია მინის პლასტიკის მომზადების პროცესში (სხვადასხვა

გამოყენების უნარი	პროცესში გამოიყენოს სანდო ინფორმაციის წყაროები, შეიმუშაოს სტრატეგია წამოჭრილი სპეციფიკური ამოცანის გადასაჭრელად და შეაფასოს მიღებული შედეგები შესრულებული სამუშაოს გაუმჯობესების მიზნით	ფორმის პლასტების დაჭრა, მასზე სხვადასხვა კომპოზიციის გადატანა, ფერადოვანი გამით დაფარვა, სხვადასხვა ფერადი მინის საღებავებით დაფარვა და მიღებული მინის პლასტის გამოწვა) გამოიყენოს ხელმძღვანელის ან/და გამოცდილი სპეციალისტისაგან მიღებული რჩევა ან სპეციალური ლიტერატურის დამუშავებით შეძენილი ცოდნა. შეუძლია გამომწვარი ფერადი პლასტის ხარისხის შეფასება და სამუშაო პროცესში დაგროვილი გამოცდილების გონივრულად გამოყენება შემდეგი ნაწარმის ხარისხის გასაუმჯობესებლად.
დასკვნის უნარი	შეუძლია სპეციფიკური პრობლემების გადასაწყვეტად შესაბამისი მიდგომის შემუშავება, ალტერნატიული შესაძლებლობების განხილვა და მიღებული შედეგის ანალიზი.	შეუძლია მინის ფერადი პლასტის ორეტაპობრივი პროცესის სპეციფიური პრობლემების გამიჯვნა და მათ გადასაწყვეტად შესაბამისი ინდივიდუალური მიდგომის შემუშავება, ორ ტექნოლოგიურ პროცესს შორის არსებული მნიშვნელოვანი განსხვავებების სწორი განსაზღვრა და მიღებული შედეგების მართებული ანალიზი.
კომუნიკაციის უნარი	შეუძლია ზეპირი და წერილობითი კომუნიკაცია პროფესიასთან დაკავშირებულ საკითხებზე ცვალებად სიტუაციებში. შეუძლია დამოუკიდებლად აითვისოს ახალი საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები. შეუძლია უცხოურ ენაზე მიღებული პროფესიასთან დაკავშირებული ინფორმაციის დამუშავება.	შეუძლია ზეპირი და წერილობითი კომუნიკაცია ფერადი მინის პლასტების ორეტაპობრივი გამოწვის პროფესიასთან დაკავშირებულ არასტანდარტულ ან/და პრობლემატურ სიტუაციებში. არჩეული პროფესიის სპეციფიკიდან გამომდინარე, შეუძლია შეარჩიოს ეფექტური საკომუნიკაციო და საინფორმაციო ტექნოლოგია, შეუძლია ზეპირი და წერილობითი კომუნიკაციის განხორციელება როგორც პროფესიონალებთან, ისე არაპროფესიონალებთან. შეუძლია უცხო ენაზე არსებული სპეციალური ლიტერატურის დამუშავება, ახალი ინფორმაციის მიღების მიზნით.
სწავლის უნარი	შეუძლია საკუთარი სწავლის მიმართულებების დამოუკიდებლად განსაზღვრა განჭვრეტად, თუმცა ნაწილობრივ ცვალებად ვითარებაში.	სწავლის პროცესში შეუძლია ცოდნის გაღრმავება, როგორც სპეციალობასთან დაკავშირებული სხვადასხვა ტიპის ინფორმაციის გაცნობის გზით, აგრეთვე მომიჯნავე დარგების (მაგ. მენეჯმენტი, მარკეტინგი) საბაზისო საფუძვლების გაცნობის მეშვეობით, საბაზრო ეკონომიკის პირობების გათვალისწინებით.
ღირებულებები	პასუხისმგებლობით ეკიდება პროფესიული საქმიანობისათვის დამახასიათებელ ღირებულებებს და ცვალებად სიტუაციებში მოქმედებს მათ შესაბამისად.	გაცნობიერებული აქვს ეკოლოგიური სფეროს დაცვის ზოგადი და სპეციფიკური ნორმები არჩეული პროფესიის ტექნოლოგიურ პროცესების თავისებურებების გათვალისწინებით. იცავს ეთიკის ნორმებს, როგორც კოლექტიურ ისე ინდივიდუალურ საქმიანობაში.

მინის დეკორატიული დამუშავების სპეციალისტის მეხუთე საფეხურის კვალიფიკაციის აღმწერი

<p>ცოდნა და გაცნობიერება</p>	<p>აქვს პროფესიულ საქმიანობასთან დაკავშირებული მრავალმხრივი და/ან სპეციალიზებული თეორიული და პრაქტიკული ცოდნა, აცნობიერებს პროფესიული საქმიანობის შესაძლებლობებს (საზღვრებს).</p>	<p>აქვს დეკორატიული მინის სფეროსთან დაკავშირებული მრავალმხრივი და სპეციალიზებული თეორიული და პრაქტიკული ცოდნა, იცის ვიტრაჟის შესრულების ტექნოლოგიური ნიუანსების განსხვავება და მათი რაციონალური გამოყენება სასურველი შედეგის მისაღებად,</p>
<p>ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი</p>	<p>შეუძლია შემეცნებითი და პრაქტიკული უნარების ფართო სპექტრის გამოყენება აბსტრაქტული პრობლემების შემოქმედებითად გადასაწყვეტად.</p>	<p>შეუძლია დეკორატიული მინის შექმნის პროცესში თეორიული და პრაქტიკული უნარების ფართო სპექტრის გამოყენება: დამოუკიდებლად შეუძლია ხელმძღვანელის მიერ მიწოდებული ესკიზისა თუ არსებული მხატვრული ნიმუშის ასლის დასამზადებლად რთული ფერადოვანი პალიტრის შედგენა, სხვადასხვა ფერადი მინების დაჭრა, შაბლონის გადიდება, ტყვიის ძგიდეების ჩამოსხმა და ამ ძგიდეებში დაჭრილი მინის ჩასმა. აგრეთვე ძგიდეების მირჩილვა, მთლიანად ზომების მიხედვით ვიტრაჟის აწყობა- დასრულება. ყველა აუცილებელი პარამეტრის დაცვით მაღალი ხარისხის პროდუქციის მიღება.</p>
<p>დასკვნის უნარი</p>	<p>შეუძლია კარგად განსაზღვრული პრობლემების ამოცნობა, მათი გადაჭრისათვის სათანადო მონაცემების იდენტიფიცირება და ანალიზი სტანდარტული მეთოდების გამოყენებით, ასევე დასაბუთებული დასკვნების გაკეთება.</p>	<p>შეუძლია დეკორატიული მინის ნაწარმის შექმნის ტექნოლოგიურ პროცესში მოსალოდნელი ტექნიკური სირთულეების წინასწარ განსაზღვრა და იცის მათი აღმოფხვრის ტექნიკური და ტექნოლოგიური საშუალებები. შეუძლია აგრეთვე მინის ვიტრაჟის აწყობის პროცესში შაბლონის ძირითადი პროპორციებისა და გრაფიკული ნახაზის შეცვლა სასურველი შედეგის მისაღწევად, ასევე შეუძლია წინასწარ განსაზღვრული პალიტრის შეცვლა ხელმძღვანელის მიერ მიწოდებული ესკიზის მიხედვით იდენტური მინის ვიტრაჟის მასალაში შესასრულებლად.</p>
<p>კომუნიკაციის უნარი</p>	<p>შეუძლია იდეებისა და ინფორმაციის სტრუქტურირებულად და თანმიმდევრულად გადაცემა სპეციალისტებისა და არასპეციალისტებისათვის ხარისხობრივი და რაოდენობრივი ინფორმაციის გამოყენებით. იყენებს თანამედროვე საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებს. შეუძლია</p>	<p>შეუძლია პროფესიასთან დაკავშირებული თეორიულ და პრაქტიკულ საკითხებზე ამომწურავი ინფორმაციის თანმიმდევრულად მიწოდება სპეციალისტებისა და არასპეციალისტებისათვის. ასევე საკუთარი ნამუშევრების დემონსტრირება და პრეზენტაცია ფართო საზოგადოების წინაშე თანამედროვე საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენებით. შეუძლია პროფესიული</p>

	უცხოურ ენაზე პროფესიასთან დაკავშირებული ინფორმაციის გადაცემა და ანგარიშის წარდგენა.	საქმიანობის შესახებ ინფორმაციისა და ანგარიშის წარდგენა უცხო ენაზე, როგორც ზეპირად, ასევე წერილობით.
სწავლის უნარი	შეუძლია საკუთარი სწავლის მიმართულებების განსაზღვრა ცვალებად და გაუთვალისწინებელ ვითარებაში.	შეუძლია მიღებული ცოდნისა და კვალიფიკაციის გათვალისწინებით დაგეგმოს სწავლის შემდგომი ეტაპი და განსაზღვროს ამ ეტაპის გავლის შედეგად მიღებული პროფესიული კვალიფიკაციის პერსპექტივა მისი შემდგომი კარიერისათვის.
ღირებულებები	აფასებს თავისი და სხვების დამოკიდებულებას პროფესიული საქმიანობისათვის დამახასიათებელი ღირებულებებისადმი და უზიარებს სხვებს.	აფასებს მის მიერ არჩეული პროფესიის ღირებულებას და შეუძლია ამ დამოკიდებულების ობიექტური წარდგენა ფართო საზოგადოების წინაშე. გაცნობიერებული აქვს მის მიერ არჩეული პროფესიის მდიდარი ტრადიციების როლი თანამედროვე ყოფაში, აფასებს მათ და თავისი შრომითი საქმიანობით პოპულარიზაციას უწევს ამ დარგს ფართო საზოგადოების წინაშე. გაცნობიერებული აქვს მის მიერ არჩეული პროფესიის პერსპექტიულობა და აქტუალობა.